პროექტის გეგმა

ზინა ბუბუტეიშვილი

პროექტის დასახელება:

სასწავლო პროექტი: "არქეოლოგიით მოთხრობილი ისტორია"

მშობელთა ჩართულობის პროგრამის ფარგლებში მე და ჩემი სადამრიგებლო ჯგუფის (მესამე სასწავლო კურსის პირველი სასწავლო ჯგუფი) კადეტ ლუკა ფაჩულიას დედამ – ეკა კატროზიამ, რომელიც არის არასამთავრობო ორგანიზაციის „ხვალინდელი დღე" ჯგუფის წევრი გადავწყვიტეთ ერთობლივად დაგვეგეგმა და გაგვეხორციელებინა აღნიშნული პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქართული კულტურისა და ისტორიის პოპულარიზაციას ქვეყნის მასშტაბით. ქალბატონმა ეკამ და მისმა გუნდმა მათ შორის პროფესორმა გიორგი დვალაშვილმა ჩაატარეს ლექცია იმერეთის უნიკალური მღვიმეების აღმოჩენების შესახებ (ძუძუანას მღვიმე, კოტიას მღვიმე და ა.შ) კადეტთა კლუბში და უპასუხეს მოსწავლეთა შეკითხვებს.

პრობლემის განსაზღვრა და მისი აქტუალობის დასაბუთება:

მოგეხსენებათ, რომ საშუალო საფეხურზე საქართველოს ისტორია არ ისწავლება როგორც ცალკე დისციპლინა და ის ინტეგრირებულია მსოფლიო ისტორიასთან, რის გამოც სახელმძღვანელოში მთელი რიგი საკითხები არა თუ დეტალურად, არამედ საერთოდ არაა განხილული. არადა მოსწავლეთა დაინტერესება დიდია სხვადასხვა საკითხის მიმართ. სწორედ ერთ-ერთ ასეთ თემას წარმოადგენს პრეისტორია, კერძოდ საქართველოში არსებული სხვადასხვა პერიოდის ნასახლარები, რომელთა მნიშვნელობა მსოფლიო მნიშვნელობისაა, მაგ. როგორიცაა ძუძუანას მღვიმე, სადაც აღმოჩენილია მსოფლიოში უძველესი სელის ძაფი,რის შესახებ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ან არაფერი იცის, ან ძალიან მცირე რამ. ამ ჯგუფის ვიზიტის მიზანიც სწორედ ჩვენი ძეგლების პოპულარიზაციაა, რომელიც განათლების სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება.

გავითვალისწინე რა მოსწავლეთა დიდი ინტერესი ამ საკითხზე გადავწყვიტე ქალბატონ ეკასთან ერთად დამეგეგმა ერთობლივი პროექტი, რომლის ფარგლებში ეკა და მისი გუნდის წევრები ჩაატარებდნენ ლექციას, სადაც მდიდარი ფოტო და ვიდეო მასალის წარმოდგენასთან ერთსად ისაუბრებდნე ამ მღვიმეების უნუკალურობაზე და მის მნიშვნელობაზე პრეისტორიის შესწავლის საკითხში.

ამით მოსწავლეები მიიღებდნენ მართლაც რომ ბევრ საინტერესო კითხვაზე პასუხს და თან უფრო გაუჩნდებოდათ ინტერესი და მოტივაცია უკეთ სეესწავლათ და მეტი გაეგოთ საკუთარი ქვეყნის ისტორიის შესახებ.

პროექტის მიზნები:

- ისტორიული ექსკურსი საქართველოს წარსულში
- მეტი ინფორმაციის მიღება პრეისტორიული ძეგლების მნიშვნელობაზე და დანიშნულებაზე
- მოსწავლეთა დაინტერესება უკეთ შეისწავლონ თავიანთი ქვეყნის ისტორია
- მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება.
- მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში

ისტ.XII.2 მოსწავლეს შეუძლია ეკონომიკის განვითარებისათვის რესურსების მნიშვნელობის ანალიზი.

- ირჩევს ერთ ქვეყანას (რეგიონს) და მსჯელობს, თუ რა გავლენას ახდენს ბუნებრივი და ანთროპოგენული ცვლილებები მის ეკონომიკურ განვითარებაზე იყენებს ისტორიულ მაგალითებს, გავლენის მასშტაბებს წარსული პერიოდის მაგალითებთან;

- ირჩევს ერთ-ერთ სახელმწიფოს და მსჯელობს, თუ რა გავლენას ახდენდა (ახდენს) ნედლეული, რომელიც მის ტერიტორიაზე მოიპოვება ამ ქვეყნის ეკონომიკურ პრიორიტეტებზე.

ამოცანები და განხორციელების გზები:
პროექტის მიზნის შესაბამისად დაისახა და ეტაპობრივად შესრულდა ქვემოთ ჩამოთვლილი აქტივობები:
1.პროექტის გეგმის შექმნა;
2.განხორციელების ვადების დადგენა
3. ლექციისთვის მომზადება
4.პრეზენტაცია (დეკემბერი –2017წ)

პროექტის შედეგი:

მოსწავლეები აღნიშნული პროექტით უკეთ გაეცნენ პალეოლითის ხანას, ამ პერიოდის ნასახლარებს, რომელიც ასე მრავლადაა იმერეთის ტერიტორიაზე, გაიგეს მათი დანიშნულების, იქ აღმოჩენილი არტერფაქტების შესახებ, მათი მნიშვნელობა პრეისტორიის შესწავლის საქმეში. გაულვივდათ ინტერესი საკუთარი ისტორიისადმი, მოიძიეს და გაეცნენ ამ თემაზე ინფორმაცია სხვადასხვა წყაროებიდან. მოსწავლეთა დაინტერესება საქართველოს ისტორიით იმდენად გაიზარდა, რომ კადეტმა ლუკა ფაჩულიამ , რომელიც დედას თან ახლდა სხვადასხვა ექსპედიციაში თავისი შთაბეჭდილებებისა და დაკვირვებების საფუძველზე მოამზადა საკონფერენციო თემა მეგალითების შესახებ, რომელიც გააცნო თანაკლასელებს და ასევე წარადგინა მოსწავლეთა სასწავლო- შემოქმედებით კონფერენციაზე.

ინფორმაცია პროექტის შესახებ განთავსებულია ლიცეუმის FB გვერდზე:
https://bit.ly/3TcEFC0~